შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სადოქტორო პროგრამა განათლების მეცნიერებებში

სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისურის როგორც უცხოური ენის გაკვეთილების ეფექტურობა საშუალო დონეზე სწავლებისას (საქართველოში უნივერსიტეტების მაგალითი)

სალომე გურეშიძე
სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი განათლების მეცნიერებებში

თბილისი 2017

სამეცნიერო ხელმძღვანელი:	ლია თოდუა ასოცირებული პროფესორი, დოქტორი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

ექსპერტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება სრულად):

1. პროფესორი, დოქტორი ნიკოლოზ ფარჯანაძე

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მაია ჩქოტუა

ოპონენტები (სახელი, გვარი და აკადემიური წოდება სრულად):

1. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი თამარ ჯოჯუა

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნინო ნიჟარაძე

შესავალი

სასწავლო რესურსი ინგლისური ენის სწავლება/სწავლის მთავარი შემადგენელი ნაწილია. ინგლისური ენის სწავლებისას რესურსების გამოყენება ძირითადად სახელმძღვანელოს გულისხმობს. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმძღვანელო წარმოადგენს იმ ენობრივი მასალისა და პრაქტიკის საფუძველს, რომელსაც მოსწავლეები საკლასო მუშაობის დროს ღებულობენ. საგანამანათლებლო სისტემა ცდილობს შეცვალოს მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები და გახადოს ისინი მოსწავლეებზე მაქსიმალურად ფოკუსირებულად. დღესდღეობით გაკვეთილის დაწყებისთანავე ძირითადი სასწავლო რესურსი, რომელსაც მოსწავლეები და მასწავლებლები ეყდნობიან, სახელმძღვანელოდანაა აღებული და შესაბამისად, საკლასო აქტივობების მთავარი წყაროც სახელმძღვანელოა. მოსწავლეები სწავლობენ იმას, რაც სახელმძღვანელოშია და ითვისებენ იმ მეთოდებით, რა მეთოდებითაც სახელმძღვანელო წარადგენს ამა თუ იმ მასალას.

ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების პროცესში მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებას უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. მსგავსი პრაქტიკა იწვევს სწავლებისა და სწავლის მიმართ არაშემოქმედებით დამოკიდებულებას. არატრადიციული მიდგომა აუცილებელიცაა, რადგან ენის შესწავლისას სახელმძღვანელოთი შემოზღუდვა რთულია. თანამედროვე სამყაროში ინგლისური ენა ფართოდ გავრცელდა, მიაღწია მაქსიმალურ პრესტიჟს და ჩამოყალიბდა საერთაშორისო ენად. შესაბამისად, ინგლისური ენის ფართოდ გავრცელებულობისა და ხელმისაწვდომობის გამო, საკომუნიკაციო-ინფორმაციული ტექნოლოგიების მიღწევები, ინგლისურის, როგორც უცხოეური ენის სწავლება/სწავლისთვის დიდ უპირატესობას წარმოადგენს. საკლასო ოთახში უპირატესად ინტერნეტ რესურსების (ტექსტების, ვიზუალური და აუდიო) და ასევე იმავე რესურსებიდან ამობეჭდილი მასალების გამოყენებას ბევრი დადებითი მხარე გააჩნია და მათ შორისაა ამ მეთოდით ინგლისური ენის სახელმძღვანელოს ნაკლოვანებების შემცირება.

ინგლისური ენის სახელმძღვანელოები ძირითადად დაწერილია ერთი ან ორი ავტორის მიერ და მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოები საფუძვლიან მეთოდოლოგიურ პრინციპებსა და თეორიებს ეყრდნობა, ისინი მაინც ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის წინაშე დგას; მეთოდიკა დღესდღეობით განსაკუთრებით მრავალმხრივი და დინამიური სფეროა. ასევე შეუძლებელია მთელს მსოფლიოში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, ეთნიკური და კულტურული წარმომავლობის მქონე ყველა მოსწავლის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინება.

ზემოთ აღნიშნულ იდეებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნებისმიერ დონეზეა შესაძლებელი ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილების წარმართვა სახელმძღვანელოს გარეშე. მასწავლებლებმა სრულყოფილად უნდა დაგეგმონ მსგავსი გაკვეთილები. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებმა არ უნდა გადაუხვიონ სახელმძღვანელოს კონკრეტული გაკვეთილით განსაზღვრულ თემატურ მასალას. უფრო მეტიც, ისინი უნდა აძლიერებდნენ და ამრავალფეროვნებდნენ კონკრეტულ გაკვეთილს. გამოცდილ და მოტივირებულ მასწავლებლებს შეუძლიათ სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების ჩატარება, რადგან ამ გზით ისინი ავითარებენ და ქმნიან მოსწავლეების საჭიროებების შესაბამის სხვადასხვა სასწავლო რესურსს. შესაბამისად, ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილის სახელმძღვანელოს გარეშე ჩატარების ერთიანი მოდელის შეთავაზება და დანერგვა დროული და აქტუალურია.

კვლევის აუცილებლობა

სწავლებისა და სწავლის პროცესის კომუნიკაციურად გარდაქმნის მოთხოვნის მიუხედავად, მთელს მსოფლიოში ინგლისური ენის გაკვეთილები უმეტესწილად მაინც სახელმძღვანელოზეა დაფუძნებული. ამ კუთხით ქართული საგანმანათლებლო სისტემა გამონაკლისს არ წარმოადგენს. ინგლისურის როგორც უცხოური ენის

სწავლების მკვლევარები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები საშუალო სკოლებში, ენის ცენტრებსა თუ უნივერსიტეტებში, განათლების სფეროს ხელმძღვანელები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები და შესაბამისად მოსწავლეებიც მიჯაჭვულები არიან სახელმძღვანელოებს და მათ საკლასო აქტივობების მთავარ წყაროდ მიიჩნევენ.

კვლევის სიახლე

კვლევა წარმოადგენს ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლების თანამედროვე მიდგომას უნივერსიტეტებში- სახელმძღვანელოს გარეშე მრავალფეროვან აქტივობებსა და სასწავლო რესურსებზე დაფუძნებული გაკვეთილების დაგეგმვასა და ჩატარებას, რომლის მიზანია ინგლისური ენის სწავლება უფრო კომუნიკაციური და ეფექტური გახადოს.

კვლევის მიზნები

- ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოების დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა.

- ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოს გარეშე სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეების აღმოჩენა.

- საშუალო დონეზე ინგლისური ენის სახელმძღვანელოს გარეშე სწავლების ერთიანი მოდელის შეთავაზება.

- ინგლისურის, როგორც უცხოური ენის საშუალო დონეზე უნივერსიტეტებში სწავლებისას შემოთავაზებული მოდელის ეფექტურობის შემოწმება.

კვლევის შეკითხვები

- რა არის ინგლისური ენის თანამედროვე სახელმძღვანელოების დადებითი და უარყოფითი მხარეები?

- რა არის სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილების დადებითი და უარყოფითი მხარეები?

- რამდენად ეფექტურად მოქმედებს საშუალო დონეზე ინგლისური ენის სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების ჩატარება მოსწავლეების უნარ-ჩვევების განვითარებასა და კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე?

ჰიპოთეზა

ენის კურსის ფარგლებში ინგლისურის, როგორც უცხოური ენის გაკვეთილების სახელმძღვანელოს გარეშე მნიშვნელოვანი რაოდენობით ჩატარება ავითარებს შემსწავლელების მიერ შესასწავლი ენის დაუფლების დონესა და დამოუკიდებლობას მისი გამოყენებისას.

ნაშრომის პრაქტიკულობა

კვლევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან იგი აყალიბებს უნივერსიტეტებში სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური ენის გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მეთოდებსა და პრინციპებს. სწავლებისა და სწავლის შედეგების გაზრდის მიზნით, მკვლევარი წარადგენს პრაქტიკულ აქტივობებსა და დამხმარე რესურსების გამოყენების ოპტიმალურ გზებს. ასევე, უკეთესი საკლასო პრაქტიკისთვის ინგლისური ენის მასწავლებლებს კვლევა შესაბამისი სახელმძღვანელოების შერჩევის პრაქტიკულ რეკომენდაციებს სთავაზობს.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

მიმდინარე ნაშრომის თეორიული საფუძვლები შემდეგნაირია:

- სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური ენის გაკვეთილების ცნება სხვადასხვა მეცნიერისა და მკვლევარის მიერ (Harmer, 2007; Nation and Macalister, 2009; Richards, 2001; Chou, 2010; Lawrence, 2011).

- ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოების კვლევა, ენის

კომუნიკაციური სწავლება, დავალებაზე დაფუძნებული სწავლება, მრავლობითი ინტელექტი, სწავლების სტრატეგიები განხილული სხვადასხვა მკვლევარის მიერ (Richards and Rodgers, 2001; Richards, 2006; Willis, 1996; Pucta and Rinvolucri, 2005; Tanner, 2001; Rinvolucri and Pucta, 2005, Harmer 2007).

- კვლევები ინგლისური ენის მასწავლებლის როლების, გაკვეთილის მართვის, ინგლისური ენის გაკვეთილების დაგეგმვის, დამხმარე რესურსებსა და სასწავლო მასალებზე სხვადასხვა მკვლევარის მიერ (Scrivener, 2005; Evertson & Weinstein, 2006; Richards, 1998; Renandya, 2012; McGrath, 2013; Reddy, 2013; Kumar, 2013.

- ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოს გარეშე სწავლების ეფექტურობის გამოვლენა (Nation and Macalister, 2009; Harmer, 2007; Richards, 2001).

- ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული ცოდნის სისტემატიზაცია, გაკვეთილების ჩატარება მათ გარეშე; ინგლისური ენის როგორც უცხოური ენის სწავლებისთვის სახელმძღვანელოს გარეშე ჩასატარებელი ინგლისური გაკვეთილების ეფექტური მოდელის, მიდგომებისა და მეთოდების წარდგენა.

დისერტაციაში გამოყენებული მეთოდებია:

- თემის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი
- აზრის გამოკითხვა
- ინტერვიუები
- ექსპერიმენტი
- დაკვირვება
- კვლევის შედეგებისა და ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი

რაოდენობრივი პარადიგმა

- მასწავლებლების, მოსწავლეებისა და ადმინისტრაციის წევრების გამოკითხვა
- პრე-ტესტი
- შუალედური-ტესტი
- პოსტ-ტესტი
- ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი

თვისობრივი პარადიგმა

- პოსტ-ინტერვიუ შემთხვევით შერჩეულ სტუდენტებთან
- მასწავლებლებზე დაკვირვება

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს შემდეგ ნაწილებს: შესავალი, 3 თავი, დასკვნა-რეკომენდაციები და 18 დანართი. დისერტაცია შედგება 10 ცხრილისა და 27 სქემისგან.

თავი 1 - ინგლისურის როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოები და ინგლისური ენის გაკვეთილები სახელმძღვანელოს გარეშე: ლიტერატურის მიმოხილვა

სახელმძღვანელო ინგლისური ენის გაკვეთილების მთავარ სასწავლო რესურსს წარმოადგენს. მასწავლებლების უმეტესობა ეყრდნობა სახელმძღვანელოს როგორც არსებით რესურსს, რადგან იგი საკლასო ოთახში განხორციელებული ძირითადი აქტივობების მთავარი წყაროა. სახელმძღვანელოს ძირითადი ფუნქციაა ცოდნა მოწესრიგებული ფორმით ხელმისაწვდომი გახადოს მოსწავლეებისთვის. მოსწავლეების უმეტესობა, რომელიც სახელმძღვანელოებით მუშაობს თავს უსაფრთხოდ გრძნობს და აქვს წარმატებისა და მიღწევის შეგრძნება. სახელმძღვანელო ავითარებს მოსწავლეების ენობრივ და კულტურულ ცნობადობას.

მასწავლებლების უმეტესობისთვის, სახელმძღვანელო არის გაკვეთილის საფუძველი, ბალანსი იმ უნარებისა, რომლებიც ისწავლება, ენის პრაქტიკა, რომელიც მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობებში რთავს. ახალბედა მასწავლებლებისთვის სახელძღვანელო არის კურსისა და აქტივობების დიზაინის მთავარი გზამკვლელი. ის უზრუნველყოფს გაკვეთილის სტრუქტურას, ერთიანობასa და მის ლოგიკურ განვითარებას.

სახელმძღვანელო ასრულებს მასწავლებლების საკმაოდ შრომატევად და რუტინულ სამუშაოს და ათავისუფლებს მათ, რათა გაკვეთილის დაგეგმვასა და თავიანთი შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოყენებას მეტი დრო დაუთმონ. სახელმძღვანელოები აძლევენ თვით-დაჯერებისა და უსაფრთხოების შეგრძნებას იმ მასწავლებლებს, რომლებიც გამოცდილებისა და გადამზადების ნაკლებობას უჩივიან. სახელმძღვანელოები წვრთნიან მასწავლებლებს.

თუმცა არსებობს ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებშიც შეუსაბამობაა მოსწავლეების ძირითად საჭიროებებსა და მასში მოცემული მასალის შინაარსს შორის. უფრო მეტიც, ძალიან ხშირად სახელმძღვანელოში გადმოცემული მასალა მოკლებულია ავთენტურობას, რასაც მივყავართ იქამდე, რომ მოსწავლეები ვერ აღიქვამენ უცხოურ ენას ისეთს, როგორიც ის რეალურად არის. გარდა ამისა,

სახელმძღვანელოები ძირითადად შაბლონური და ადვილად პროგნოზირებადია, მოიცავს მოძველებულ ან მოსწავლეების ასაკსა და კულტურასთან შეუსაბამო მასალას.

ინგლისური როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოების შეუსაბამობისა და ნაკლოვანებების გამოსასწორებლად შესაძლოა გზაა გაკვეთილები სახელმძვანელოს გარეშე. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების უპირატესობებია: ასეთი გაკვეთილები საინტერესოა, ამაღლებს მოტივაციას მოსწავლეებში, ჰგავს რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებს, ააქტიურებს მოსწავლეების პასიურ ცოდნას, ცვლის ინგლისური ენის სწავლების ტრადიციულ მეთოდებს, ხდის ინგლისურის როგორც უცხოური ენის გაკვეთილებს უფრო კომუნიკაციურს, უბიძგებს მოსწავლეებს ინტერაქციისა და თანამშრომლობისკენ. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილები ხელს უწყობს უფრო საინტერესო და მოტივაციის ამამაღლებელი ავთენტური მასალის გამოყენებას, საშუალებას იძლევა ინგლისური ენის სწავლების პროცესში მასწავლებლებმა სწავლების კომუნიკაციური მიდგომა განახორციელონ, მოსწავლეებს საკლასო პროცესში უფრო აზრიანად რთავს, აადვილებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, უფრო მოქნილია ინგლისური ენის გაკვეთილებისათვის და ზოგადად ზრდის ინგლისური ენის სწავლების შედეგებს.

სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების უარყოფითი მხარეებია: ასეთი გაკვეთილები არაორგანიზებული და ქაოტურია, მასწავლებლებს სჭირდებათ შესაბამისი მომზადება და ტრენინგები. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებისთვის აუცილებელია შესაბამისი მოწყობილობა, რომელიც შესაძლებელია საკლასო ოთახში ხელმისაწვდომი არ იყოს, მოსალოდნელია აქტივობების დროს გამოყენებული ენის გამარტივება, ენას შესაძლოა აკლდეს ავთენტურობა და არასათანადო მომზადებისის გამო ასეთი გაკვეთილები ან ჩაიშალოს ან მოხდეს სილაბუსის მოთხოვნებიდან გადახვევა.

ბევრი მკვლევარი საუბრობს ავთენტური მასალების საჭიროებასა და აუცილებლობაზე, რაშიც სახელმძღვანელოს გვერდზე გადადება და სხვადასხვა

რეალური სიტუაციიდან, მონაცემებიდან, ტექსტებიდან მოხმობილი რესურსების გამოყენება იგულისხმება. აშკარაა, რომ ავთენტური მასალა საინტერესოა როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის და ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას. მაშასადამე, შესაბამისად შერჩეული დამატებითი და დამხმარე მასალა სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოს გარეშე სწავლებისას მასწავლებლებს შემდეგი როლები აკისრიათ: მასწავლებელი როგორც მენეჯერი და ორგანიზატორი, მონაწილე და შემსრულებელი, ენის მოდელი და ინფორმაციის მიმწოდებელი.

ბოლო ხუთი ათწლეულის მანძილზე უცხოური ენის გაკვეთილებისას ენის კომუნიკაციური სწავლა და სწავლება ძირითად მიმართულებას წარმოადგენს და ეს მიდგომა მასწავლებლებს სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების ჩატარების შესალებლობას აძლევს. ენის კომუნიკაციური სწავლება გულისხმობს შესასწავლი ენის სწავლებისას აქტივობებისა და შესაძლებლობების მრავალფეროვნებას და იგი ორიენტირებულია უფრო მეტყველებაზე, ვიდრე სიზუსტეზე. ამ მიდგომის დროს ენის სწავლება კომუნიკაციურ სიტუაციებსა და აქტივობებს ეფუძნება და ავთენტურ მასალებზე დაყრდნობით წყვილურ და ჯგუფებში მუშაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დავალებაზე დაფუძნებული სწავლება საკლასო ოთახში ბევრ შესაძლებლობას წარმოშობს, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სახელმძღვანელოს არ იყენებს. სახელმძღვანელოზე დაფუძნებული გაკვეთილებისგან განსხვავებით, სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილები მრავლობითი ინტელექტის თეორიის განხორციელების საშუალებას იძლევა და ყველა მოსწავლეს ფარული შესაძლებლობების გამოვლენის თანაბარ შანსს აძლევს.

ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოზე ორიენტირებული და სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების დადებითი და უარყოფითი მხარეები

შესაძლოა შემდეგი სახით შეჯამდეს:

სქემა 1. ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოზე ორიენტირებული და სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების დადებითი და უარყოფითი მხარეები

ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოები

უპირატესობები

•მზა მასალა მასწავლებლებისთვის

•მკაფიოდ გამოხატული სასწავლო მიზნები

•წინასწარ გამზადებული მასალა

•ეკონომიურობა და მოხერხებულობა

•უნარების ბალანსირებულობა

•თანმიმდევრულობა და ლოგიკური სტრუქტურა

•დამოუკიდებლად სწავლის შესაძლებლობა

ნაკლოვანებები

•ადვილად პროგნოზირებადი

•მოსაწყენი

•მოძველებული

•მოსწავლეების ასაკისა და კულტურისთვის შეუსაბამო

•გაკვეთილების ერთგვაროვნება

ინგლისურის,როგორც უცხოური ენის გაკვეთილები სახელმძღვანელოს გარეშე

უპირატესობები

•საინტერესო

•მოტივაციურობა

•კომუნიკაციური

•თანამშრომლობითი და ინტერაქციული

•რეალურ ცხოვრებასთან დაახლოებული

•მოსწავლეების პასიური ცოდნის გამააქტიურებელი

ნაკლოვანებები

•ქაოტური და არაორგანიზებული

•მომზადებისთვის დროის საჭიროება

•სილაბუსიდან გადახვევის ალბათობა

•განსახორციელებლად სარისკო

•აღჭურვილობის საჭიროება

•მასწავლებლის მაღალი კომპეტენციისა და მეთოდოლოგიის ცოდნის აუცილებლობა

თავი 2- ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილები სახელმძღვანელოს გარეშე საქართველოს უნივერსიტეტებში

ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების დოკუმენტის, რომელიც დღეს მსოფლიოში ნებისმიერი უცხოური ენის სწავლების გზამკვლევს წარმოადგენს, ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილები აუცილებელობაა. დოკუმენტში ასევე მრავალჯერაა ნახსენები ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლებისთვის დამატებითი მასალის, კურიკულუმზე დამატებული აქტივობებისა და კომუნიკაციური აქტივობების მიმართ შემოქმედებითი მიდგომის აუცილებლობა.

საქართველოში ინგლისური ენის მასწავლებლები, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტის ლექტორები თვლიან, რომ ენის სკოლის ხელმძღვანელების მიერ დადგენილი წიგნები ვერ პასუხობს ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს და შეუსაბამოდ და არაეფექტურად აფასებენ მათ.

მაშინ, როდესაც მასწავლებლები გაკვეთილებს სახელმძღვანელოს გარეშე ატარებენ, სახელმძღვანელოების ნაკლოვანი მხარეების გამოსწორებისთვის აუცილებელია მათში შეუსაბამო მასალაზე უარის თქმა და მათი შეცვლა და შევსება რელევანტური მასალით. ნებისმიერ შემთხვევაში ასეთმა გაკვეთილებმა არ უნდა გადაუხვიოს სილაბუსის მიზნებსა და ამოცანებს და იმ მასალას, რომელსაც სახელმძღვანელოს კონკრეტული თავი მოიცავს. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილები აქცენტს აკეთებენ ერთ ან ორ უნარზე და ენობრივ ასპექტზე და ასეთი გაკვეთილები უფრო დინამიური და მრავალმხრივია. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ერთ გაკვეთილზე განივითაროს სხვადასხვა ენობრივი უნარები და ასპექტები.

სახელმძღვანელოს გარეშე ჩატარებული ინგლისური ენის გაკვეთილები ეყრნობა ენის კომუნიკაციური სწავლისა და დავალებაზე დაფუძნებული სწავლების მიდგომებს და საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ჩაატარონ ეფექტური გაკვეთილები

სახელმძღვანელოსა და მის რესურსებზე დამოკიდებულების გარეშე.

სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების წარმოდგენილი მოდელი ეხმარება მოსწავლეებს ინგლისურის შესწავლის მენეჯმენტსა და დაგეგმვაში, ავითარებს მათ კოგნიტიურ და ეფექტურ სტრატეგიებს. ასეთი გაკვეთილები ასევე აადვილებს რეალური სასწავლო გეგმების დასახვას და მათ მისაღწევად საჭირო მასალების, მიდგომისა და აქტივობების განსაზღვრას.

სახელმძღვანელოს გარეშე ჩატარებული ინგლისური ენის გაკვეთილები იდეალურია სხვადასხვა ინტელექტის მქონე მოსწავლეებისთვის, რადგან მასალებისა და აქტივობების მრავალფეროვნების გამო ნებისმიერი ტიპის მოსწავლე პოულობს მისთვის შესაფერის სამუშაოს, უფრო მეტიც, ყველა მათგანი ავითარებს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც მათში სათანადოდ გააქტიურებული არ არის.

სახელმძღვანელოზე დაფუძნებული გაკვეთილები ზოგადად გულისხმობს ავთენტური და დამხმარე მასალების გამოყენებას, რადგან სახელმძღვანელოს ამოღება კი მსგავს პრაქტიკას საჭიროებს. მოსწავლეების ასაკის, დონისა და კულტურის გათვალისწინებით მსგავსი მასალის შერჩევას მაღალი კომპეტენცია და ყურადღება სჭირდება.

შემოთავაზებული მოდელით გრამატიკის სწავლებისას გამოიყენება კომუნიკაციური მიდგომა და მისი მთავარი ღირსება ისაა, რომ ის მოსწავლეზეა ორიენტირებული. სახელმძღვანელოს გარეშე ლექსიკის სწავლებისას კი ყურადღება ექცევა საკლასო ოთახში საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიებისა და დამხმარე რესურსების საშუალებით ლექსიკური მასალის გაგებას, დამახსოვრებასა და გავარჯიშებას. სახელმძღვანელოს გარეშე წერის უნარის სწავლება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შექმნან ისეთი წერითი დავალებები, რომლებსაც ისინი თავიანთ ცხოვრებაში გამოიყენებენ. სახელმძღვანელოს გარეშე მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებისთვის მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ისეთი კომუნიკაციური აქტივობები, რომლებიც მოამზადებს მათ რეალური ცხოვრებისთვის. არსებობს

სხვადასხვა თამაშები, რომლებიც მოსწავლეებსმეტყველების სწრაფად და გამართულად დაწყებაში დაეხმარება. სახელმძღვანელოზე დაფუძნებული კითხვის მოსაწყენი და მონოტონური გაკვეთილების შეცვლა რეალური ცხოვრებისეული საკითხავი მასალით ცვლის მოსწავლეებს დამოკიდებულებას და კითხვას მათთვის სასიამოვნო პროცესად აქცევს. პოდკასტები და აუდიო-ვიზუალური მასალა ხელმისაწვდომია ინტერნეტში, შესაბამისად, სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილებისას მასწავლებლებისთვის მრავალფეროვანი მოსასმენი მასალა არის ხელმისაწვდომი, რაც ეხმარება მოსწავლეებს მოსმენის უნარ-ჩვევების უკეთ განვითარებასა და დახვეწაში.

მკვლევარის მიერ შემოთავაზებული მოდელი შემდეგნაირად ჯამდება:

სქემა 2. სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისურის გაკვეთილების კომპონენტები, პრინციპები და ძირითადი ასპექტები

თავი 3- კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია, შედეგები და მსჯელობა

როგორც შესავალშია აღნიშნული, კვლევის მიზნებია:

- უნივერსიტეტში საშუალო დონეზე სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური უცხოური ენის როგორც გაკვეთილის ერთიანი მოდელის შეთავაზება.

- ინგლისურის, როგორც უცხოური ენის საშუალო დონეზე უნივერსიტეტებში სწავლებისას შეთავაზებული მოდელის ეფექტურობის შემოწმება.

ექსპერიმენტი ჩატარდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, საქართველოში. მასში 34 სტუდენტი და 2 ინგლისური ენის მასწავლებელი მონაწილეობდა. კვლევის მონაწილეები იყვნენ სხვადასხვა ფაკულტეტის პირველი კურსის ბაკალავრიატის სფეხურის სტუდენტები. ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ უნივერსიტეტის ენათა სკოლის თანხმობის მიღების შემდეგ ორი საშუალო დონის ჯგუფი შეირჩა. ერთ ჯგუფს დაერქვა საკონტროლო ჯგუფი, ხოლო მეორეს ექსპერიმენტული ჯგუფი.

მეტყველების, მოსმენის, კითხვისა და წერის დონის შესამოწმებლად სემესტრის პირველ კვირას სტუდენტებს ჩაუტარდათ პრე-ტესტი. პრე-ტესტი ასევე ამოწმებდა სტუდენტების მიერ ინგლისური ენის გამოყენების დონეს, ე.ი., გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას. პრე-ტესტიდან და ექსპერიმენტის დაწყებიდან შვიდ კვირაში, ინგლისური ენის უნარებისა და ლინგვისტური ასპექტების პროგრესის ანალიზისა და შეფასებისთვის, სტუდენტებს ისევ ჩაუტარდათ ტესტირება. მეთხუთმეტე კვირაში ჩატარდა პოსტ-ტესტი, რომლის მიზანიც იყო სტუდენტების ენობრივ კომპეტენციასა და ქმედებაზე სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების საბოლოო ზეგავლენის შეფასება. პრე-ტესტის, შუალედური-ტესტისა და პოსტ-ტესტის დროს გამოყენებული საგამოცდო მასალა ერთი და იგივე სტრუქტურისა და დონის იყო. დაკვირვების შედეგად მკვლევარმა ასევე შეაგროვა მონაცემები სტუდენტების ქცევასა და პროგრესთან დაკავშირებით და მან გამოიყენა ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც ემსახურებოდა კვლევის მიზნებს.

ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებს ინგლისური ენის გაკვეთილების 50 პროცენტი უტარდებოდათ სახელმძღვანელოზე-English File დაყრდნობით, ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი კი სახელმძღვანელოს გარეშე. მაშასადამე, 2 აკადემიური საათი სტუდენტებს უტარდებოდათ სახელმძღვანელოს მეშვეობით, ხოლო დანარჩენი 2 აკადემიური საათის განმავლობაში მათ ჰქონდათ გაკვეთილები სახელმძღვანელოს გარეშე. ექსპერიმენტულ ჯგუფს ასწავლიდა მკვლევარი, ხოლო საკონტროლო ჯგუფს კი სხვა ლექტორი. მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფის მასწავლებელი იყენებდა მხოლოდ სახელმძღვანელოს, ექსპერიმენტული ჯგუფის გაკვეთილები გამდიდრებული იყო წიგნის მიღმა მრავალფეროვანი კოიმუნიკაციური და დავალებაზე დაფუძნებული აქტივობებით.

პოსტ-ტესტმა აჩვენა ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების ენობრივი უნარების მნიშვნელოვანი განვითარება. ეს ჯგუფი ნახევრად სახელმძღვანელოს გარეშე სწავლობდა და მასწავლებელი შემსწავლელებს სთავაზობდა მრავალფეროვან დამხმარე ავთენტურ მასალებს. ხოლო საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებს, რომლებიც მხოლოდ სახელმძღვანელოს იყენებდნენ, არ უჩვენებიათ ენობრივი უნარების მნიშვნელოვანი განვითარება. შესაბამისად, კვლევის ჰიპოთეზა სრულად დასტურდება. შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ ექსპერიმენტულ ჯგუფში მეტყველების უნარ-ჩვევები სხვა უნარებთან შედარებით მნიშვნელოვნად განვითარდა. ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების პრე-, შუალედური და პოსტ-ტესტების საშუალოების შედარების შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე ჯგუფში სტუდენტების ენობრივი უნარები თანდათანობით განვითარდა. კვლევის ბოლოს ექსპერიმენტული ჯგუფის პრე- და პოსტ-ტესტების საშუალოების შედარებისას პროგრესმა 9.39 შეადგინა, ხოლო საკონტროლო ჯგუფის საშუალოს მატება იყო 4.25. მაშასადამე, ექსპერიმენტული ჯგუფი 5.14 ქულით უსწრებს საკონტროლო ჯგუფს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე მეტად და მნიშვნელოვნად განვითარდა მეტყველების უნარ-ჩვევა. აღნიშნულ უნარში ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები 6.1 ქულით უსწრებენ საკონტროლო ჯგუფის სტუდენტებს და ეს სხვაობა

მნიშვნელოვან ინდიკატორად ითვლება.

სქემა 3. ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების შედეგების საშუალო ექსპერიმენტამდე, ექსპერიმენტის დროს და ექსპერიმენტის შემდეგ



კვლევის თვისობრივმა შედეგებმა- სტუდენტების პოსტ-ექსპერიმენტულმა ინტერვიუმ და მასწავლებლის მიერ გაკვეთილის დაკვირვებამ გამოავლინა, რომ სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილების შეთავაზებული მოდელი იწვევს სტუდენტების პოზიტიურ რეაქციას; მსგავსი პრაქტიკა სასარგებლოა, საინტერესო და აქტიურად რთავს სტუდენტებს გაკვეთილის პროცესში. რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფში ტრადიციული მიდგომით ჩატარებულმა გაკვეთილებმა აჩვენა კვლევის პერიოდში სტუდენტების დაბალი მოტივაცია და ენობრივი უნარებისა და ლინგვისტური ასპექტების ნაკლები პროგრესი.

ამგვარად, ეს თავი წარადგენს კვლევის რაოდენობრივ და თვისობრივ შედეგებს. შედეგების მიხედვით, სახელმძღვანელოს გარეშე ჩატარებული ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილები პოზიტიურად მოქმედებს მოსწავლის მოტივაციაზე,

ეხმარება მათ სწავლის სტრატეგიების გამომუშავებაში და ენის სწავლისას მოსწავლეების დამოუკიდებლობას აძლიერებს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ინგლისური როგორც უცხო ენის სწავლებისას სახელმძღვანელო წარმოადგენს ძირითად მასალასა და წყაროს. სახელმძღვანელო გამოიყენება შესასწავლი ენის პრეზენტაციისა და გავარჯიშებისათვის. სახელმძღვანელო, რომელიც მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის იქმნება მიზნად ისახავს დაეხმაროს მათ სწავლება/სწავლის პროცესში და ენობრივი კომპეტენციების განვითარებაში. მეორეს მხრივ, გაკვეთილების ჩატარებისას სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის მთავარი მეგზურია.

ინგლისური ენის თანამედროვე სახელმძღვანელოებს ბევრი უპირატესობა და ნაკლოვანება გააჩნია. როცა საქმე სახელმძღვანელოების დადებით მხარეებს ეხება, პირველი, რაც აუცილებელია აღინიშნოს არის ის, რომ სახელმძღვანელოებს აქვთ მკაფიოდ გამოხატული მიზნები. სახელმძღვანელოები მოიცავს დაბალანსებულ და დაგეგმილ გაკვეთილებს, რომლებსაც მიჰყვებიან როგორც მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები. მეორეს მხრივ, სახელმძღვანელოები სთავაზობენ მოსწავლეებს ცალკეულ თავებში განაწილებულ თანმიმდევრულ სილაბუსსა და რესურსებს. ინგლისური ენის თანამედროვე სახელმძღვანელოების კომპლექტი მოიცავს CD და DVD მასალებს და სხვადასხვა დამატებით რესურსებს. მასწავლებლის წიგნი შედგება მზა აქტივობებისგან და შესაბამისად, სახელმძღვანელო მომხიბვლელია ზოგიერთი მასწავლებლისთვის, რადგან მათი გამოყენება მარტივია. რაც შეეხება სახელმძღვანელოების ნაკლოვანებებს, მათი ადვილად გამოსაცნობი ფორმატი მოსწავლეებისთვის მონოტონურ და არასაინტერესო გარემოს ქმნის. სახელმძღვანელოს ზოგიერთი ავტორი მათში მოსწავლეებისთვის უცნობ თემებს რთავს, ისინი წარადგენენ კონკრეტული საზოგადოებისთვის შეუსაბამო საკითხებს და შედეგი კულტურათა შეუსაბამობაა. ინგლისური ენის სახელმძღვანელოებს აქვთ

განმეორებითი ბუნება და ისინი ერთნაირად არიან შედგენილი, შესაბამისად, მოსწავლეებმა შესაძლოა ინგლისური ენის სწავლისადმი ინტერესი და მოტივაცია დაკარგონ. ინგლისური ენის გაკვეთილზე ერთმანეთისგან განსხვავებული ტიპის მოსწავლეები არიან, შესაბამისად, მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენება ვერ დააკმაყოფილებს სხვადასხვა ტიპის მოსწავლეების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს. საბოლოოდ, მაშინ, როდესაც მასწავლებლები ინგლისური როგორც უცხოური ენის სწავლებისას მხოლოდ სახელმძღვანელოებზე არიან დამოკიდებული, შედეგად ისინი მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს ასწავლიან და არა ენას.

ეს კვლევა აყალიბებს ინგლისური როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილის მოდელს მაშინ, როდესაც სხვადასხვა ენობრივი უნარებისა და ლინგვისტური ასპექტების განვითარების მიზნით, მასწავლებლები იყენებენ ავთენტუერ მასალას და წიგნის გარეშე აქტივობებს. ამგვარ პრაქტიკას აქვს თავისი მინუსები და პლიუსები. სახელმძღვანელოების ერთფეროვანი ფორმატის გამო მოსწავლეები დემოტივირებულები არიან და დროდადრო მათი გვერდზე გადადება ააქტიურებს საკლასო ატმოსფეროს და სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილები მოსწავლეებისთვის საინტერესო და მოტივაციის მიმცემი ხდება. ზოგჯერ სახელმძღვანელოს მასალა შეუსაბამოა მოსწავლეების ასაკთან, კულტურასთან, მისწარფებებსა და ინტერესებთან. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებისას მასწავლებელი იყენებს ავთენტურ მასალას, რომლიც მოსწავლეებს რეალურ ცხოვრებაში საჭირო კომუნიკაციისთვის ამზადებს. ამ მოდელის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ის არის, რომ სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებისას მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ ლაპარაკისა და მოსმენის მრავალფეროვან აქტივობებს, რომელიც ინგლისური ენის გაკვეთილებს უფრო კომუნიკაციურს ქმნის. ასე რომ, ეს მოდელი პასუხობს ოცდამეერთე საუკუნის ინგლისური როორც უცხოური ენის სწავლების მეთოდების გამოწვევებს, რომლებიც ძირითადად აქცენტირებულია ენის კომუნიკაციურ სწავლებაზე. სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური ენის გაკვეთილების კიდევ ერთი უპირატესობაა მოსწავლის

დამოუკიდებლობა, რომელიც ამ მოდელის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს. აქტივიობები ძირითადად ხორციელდება წყვილებსა და ჯგუფებში, მაშასადამე, ისინი უზრუნველყოფენ მოსწავლეთა შორის ინტერაქციას და თანამშრომლობას. დადებითი მხარეების გარდა, სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებს უარყოფითი ასპექტებიც გააჩნია. კომუნიკაციური აქტივობების ბუნებიდან გამომდინარე მსგავსი გაკვეთილები ქაოტური და არაორგანიზებულია. იმის გამო, რომ მასწავლებლის წიგნში გაკვეთილები დაგეგმილია, სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების მასწავლებლის მიერ მომზადებას უფრო მეტი დრო და ენერგია სჭირდება. გარდა ამისა, მასწავლებლებს სჭირდებათ შესაბამისი კომპეტენცია, რისთვისაც აუცილებელია მათი ინტენსიური გადამზადება, სხვა შემთხვევაში წინასწარი მომზადების გარეშე გაკვეთილის ჩაშლის ალბათობა არსებობს.

სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებისას მასწავლებლებმა არ უნდა გადაუხვიონ არც სილაბუსს, არც სახელმძღვანელოს შესაბამის გაკვეთილს და არც იმ სასწავლო მიზნებს, რომელიც სასწავლო კურსის ბოლოს უნდა მიიღწეს. ასე რომ, სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების ჩატარება უნდა იყოს მასწავლებლის როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი მიზნების შემადგენელი ნაწილი.

სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილები ლოგიკურად ავსებს სახელმძღვანელოს ცალკეული თავის იმ მასალას, რომელიც არაეფექტურად და უსარგებლოდ ითვლება. მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების ლოგიკური და თანმიმდევრული დაგეგმვა. გაკვეთილების პროცედურებისა და აქტივობების თანმიმდევრობის მთავარი პრინციპებია: გაკვეთილების სტადიებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დამყარება, აქტივობების დაგეგმვა მარტივიდან რთულისკენ პრინციპით, ენობრივი უნარების ბუნებრივი განვითარება.

სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილები უნდა ჩატარდეს კურსის ფარგლებში, ისე, რომ მათ დასაუფლებელი და აქცენტირებული უნარებისა და ასევე აქტივობების ბალანსი დაიცვან და ბალანსის ინსტრუმენტად იქცნენ. სახელმძღვანელოს გარეშე

გაკვეთილების მთავარი პრინციპია ერთი ან ორი ენობრივი უნარისა და ერთი ან ორი ლინგვისტური ასპექტის გავარჯიშება ერთი გაკვეთილის ფარგლებში.

სახელმძღვანელოს გვერდზე გადადება სახელმძღვანელოს გაკვეთილის კრიტიკულ შეფასებას მოითხოვს და ყველა ის დავალებასა და მასალაზე უარის თმას, რომელიც არალერევანტულად ითვლება. მაშასადამე, უნდა ჩატარდეს ერთ ან მეტი გაკვეთილი, რომელიც სახელმძღვანელოს ნაკლოვანებების აღმოფხვრას ისახავს მიზნად. ამისთვის შესაძლოა სახელმძღვანელოს გარკვეული ნაწილების გამოტოვება ან სახელმძღვანელოს გაკვეთილის/მასალის უფრო სწრაფად გავლა. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების ჩატარება რეგულარულად შეიძლება და მათი რაოდენობა დამოკიდებულია სილაბუსის მასშტაბებსა და საჭიროებებზე. ასეთი გაკვეთილები შესაძლოა შემდეგი სიხშირით ჩატარდეს- კურსის 25, 50, 75 პროცენტი.

სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებისას ენის კომუნიკაციური სწავლება ითვლება სათანადო მიდგომად და შემუშავებული მოდელი უპირატესობას ანიჭებს კომუნიკაციურ და დავალებაზე დაფუძნებულ აქტივობებს. ასეთი გაკვეთილი მოიცავს ფუნქციონალურ, კომუნიკაციურ და სოციალურ-ინტერაქციულ აქტივობებს. ენის კომუნიკაციური სწავლება მოიცავს ინგლისური ენის გავარჯიშების აზრიან შესაძლებლობას, რომელიც უფრო თავისუფლად მეტყველებაზეა ორიენტირებული, ვიდრე სიზუსტეზე. წყვილებში და ჯგუფური მუშაობის შედეგად, ენის კომუნიკაციური სწავლება ქმნის ნამდვილ კომუნიკაციურ სიტუაციებს, რომელიც ნაკლებადაა ინგლისური ენის სახელმძღვანელოში მოცემული. ენის კომუნიკაციური სწავლებისას დამატებითი მასალები და ავთენტური რესურსები გამოიყენება. აქტივობები ირჩევა მოსწავლეების ასაკისა და ინტერესის მიხედვით, რაც შესაბამისად ზრდის მათ მოტივაციას. კომუნიკაციური აქტივობები მოსწავლეებს ეხმარება ენობრივი უნარების ჩამოყალიბებაში, უფრო მეტიც, მოსწავლეებს შეუძლიათ თავიანთი კომპეტენციის შეფასება და ენის შესწავლისას არჩევანის გაკეთება, შესაბამისად, წარმოდგენილი მოდელი ზრდის მოსწავლეების ავტონომიურობას.

დავალებაზე დაფუძნებული სწავლა/სწავლება სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების წარმოდგენილი მოდელის კიდევ ერთი მიდგომაა. ის ეფუძნება ენის კომუნიკაციური სწავლების პრინციპებს და მისი მიზანია აზრიანი კომუნიკაციის დამყარება. ამოცანები მოსწავლეზეა ორიენტირებული, რადგან მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეების საჭიროებები, ასაკი, მოლოდინები და წინარე გამოცდილება. უფრო მეტიც, დავალებები დაახლოებულია რეალურ სიტუაციებთან. დავალებაზე დაფუძნებული სწავლება საკლასო ოთახში ბევრ ისეთ შესაძლებლობას ქმნის, რომლის მიღწევაც სახელმძღვანელოს მეშვეობით შეუძლებელია. ეს მიდგომა მოსწავლეს საშუალება აძლევს განავითაროს როგორც ენაში გაწაფულობა, ასევე სიზუსტე და ის თანაბრად არის კონცენტრირებული შესასწავლი ენის როგორც მნიშვნელობაზე, ასევე ფორმაზე. საბოლოოდ, დავალებაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეზეა ფოკუსირებული და დიდ როლს თამაშობს მისი მოტივაციის ამაღლებაში.

მრავლობითი ინტელექტის თეორია გამოიყენება სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების დროს და ის იძლევა სხვადასხვა ტიპის მოსწავლეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ამგვარი პრაქტიკა ააქტიურებს მოსწავლეების ფარულ შესაძლებლობებს და ერთდროულად ავითარებს სხვადასხვა ენობრივ უნარს. მოდელი წარმოადგენს განსხვავებული ტიპის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის შესახებ პრაქტიკულ რეკომენდაციებს. სახელმძღვანელოზე ორიენტირებული გაკვეთილებისგან განსხვავებით, ინგლისური ენის სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილები ყველა მოსწავლეს ფარული შესაძლებლობების გააქტიურების თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს და გაკვეთილის პროცესში არცერთი ტიპის ინტელექტს არ უგულებელყოფს.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მეთოდმა მნიშვნელოვნად შეცვალა ინგლისური როგორც უცხოური ენის მასწავლებლის როლები. მასწავლებლები

გარდაიქმნენ ინფორმაციის მომწოდებლიდან შუამავლებად. ინგლისური ენის მასწავლებლები გახდნენ მენეჯერები და ორგანიზატორები, მონაწილეები და შემსრულებლები, რესურსის დიზაინერები და შემქმნელები, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიმწოდებლები. სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური ენის გაკვეთილებისას მასწავლებლების კომპეტენციები და ფუნქციები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ხოლო მასწავლებლებს ეხმარება დემოკრატიული საკლასო გარემოს შექმნაში, რათა პოზიტიური ურთიერთობა მოსწავლეებს შორის დამყარდეს და ამაღლდეს მათი ავტონომიურობა. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებისას მასწავლებლები წაახალისებენ მოსწავლეებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკლასო აქტივობებში და ხდიან ინგლისური ენის გაკვეთილებს უფრო საინტერესოს მოსწავლეებისთვის. მასწავლებლის აღნიშნული როლების შესაბამისად შესრულების შედეგად, მოსწავლეების ცოდნა და კომპეტენციები სწრაფად და ეფექტურად იზრდება.

როდესაც მასწავლებელი ატარებს ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილებს სახელმძღვანელოს გარეშე, გაკვეთილები გამდიდრებულია დამატებითი სასწავლო მასალებითა და რესურსებით. დამხმარე მასალები იპყრობს მოსწავლეების ყურადღებას და ეხმარება მათ მასალის უკეთ გაგებაში. სასწავლო რესუსრები მოსწავლეებისთვის აქტიურ და საინტერესო საკლასო გარემოს ქმნის და მოსწავლეებს საკუთარი თავის წარმოჩენაში ეხმარება. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებისას საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიები მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. ინტერნეტი და კომპიუტერი მასწავლებლებისთვის რესურსების შერჩევისა და შედგენის, ხოლო მოსწავლეებისთვის შესასწავლი ენის გავარჯიშების ბრწყინვალე შესაძლებლობას ქმნის. ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილების სახელმძღვანელოს გარეშე დამატებითი რესურსების გამოყენებით ჩატარება ხელსაყრელია ენობრივი უნარებისა და ლინგვისტური ასპექტების დაუფლებისათვის. სახელმძღვანელოს უსიცოცხლო რესურსებთან შედარებით, კარგად მომზადებული და შესაბამისად შედგენილი დამხმარე მასალები საინტერესო

და მიმზიდველია მოსწავლეებითვის.

სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების დროს გამოყენებულ დამატებით რესურსებს ავთენტური აქვს ბუნება და ისინი საინტერესოა როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. ავთენტური რესურსები სასარგებლოა მოსწავლეებისთვის, რადგან ისინი დადებითად მოქმედებენ მოსწავლეების მოტივაციაზე. ავთენტური მასალები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და ისინი აღებულია რეალური კომუნიკაციიდან. და ბოლოს, ისინი აყალიბებენ ინგლისური ენის სწავლება/სწავლის მიმართ შემოქმედებით მიდგომას.

სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილები მოსწავლეებს ინტერაქციისა და მასწავლებლების დახმარებისა და ჩარევის გარეშე გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებს აძლევს. მოსწავლეები ერთმანეთთან ინტერაქციისას უფრო მეტს სწავლობენ, ვიდრე მასწავლებლისგან. წარმოდგენილი მოდელი ავითარებს სწავლის სტრატეგიებს, ზრდის მოსწავლეების თვითდაჯერებას, მოტივაციას და მათ დამოუკიდებელ შემსწავლელებად აქცევს. მოსწავლეები ხდებიან დამოუკიდებლები, რადგან გაკვეთილებისას ისინი იძენენ გამოცდილებას, თუ რა მასალით და საიდან უნდა ისწავლონ, თუ როგორ უნდა გააგრძელონ ინგლისური ენის შესწავლა მომავალში. მოსწავლეები ხედავენ ენის შესწავლის გასაგებ და ყოვლისმომცველ მოდელს, რომელიც არ იქნება ერთ კონკრეტულ სახელმძღვანელოზე დამოკიდებული.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლები სახელმძღვანელოს გარეშე ინგლისური როგორც უცხოური ენის გაკვეთილებს ჯეროვნად დაგეგმავენ, მოსწავლეები განივითარებენ ყველა ენობრივ უნარსა და ლინგვისტურ ასპექტს. ლაპარაკის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის მასწავლებლები მიმართავენ კომუნიკაციურ აქტივობებს, რომლებიც მათ რეალურ ცხოვრებაში კომუნიკაციისთვის ამზადებს. ეს დავალებებია როლური თამაშები, საკლასო დისკუსიები, ზეპირი პრეზენტაციები და სხვა. კითხვის უნარის განვითარებისთვის მასწავლებლები მოსწავლეებს ავთენტურ ტექსტებს

სთავაზობდნენ. მაშინ როდესაც სახელმძღვანელოს ტექსტები აცდენილია ენის რეალურ გამოყენებას, კარგად შერჩეული ავთენტური ტექსტები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს იკითხონ გაკვეთილის გარეთაც იკითხონ. მოსმენის უნარი ვითარდება ფილმების, ვიდეო კლიპების, DVD ან ინტერნეტ რესურსების მეშვეობით. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების დაგეგმვისას მასწავლებლები იყენებენ უახლეს ინფორმაციას, რადგან რაც უფრო ახალია მასალა, მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს ის მოსწავლეებში. მოსწავლეებისთვის მოსმენა შესაძლოა ყველაზე საინტერესო აქტივობა იყოს, რადგან ეს უნარი საჭიროა თანამედროვე ახალგაზრდების ყოველდღიური ცხოვრებისთვის. ავთენტურ მასალებში გამოყენებულია სხვადასხვა კილოკავები და მოსწავლეებს აქვთ მსოფლიოს გარშემო ინგლისური ენაზე მეტყველებისას სხვაობების აღქმის საშუალება. ხოლო წერის უნარი ისწავლება როგორც ნამდვილი კომუნიკაციური პროცესი და მოსწავლეები რეალური ადრესატისთვის წერენ. მასწავლებლები მოსწავლეებს ავალებენ რეალური მიზნების მქონე ამოცანებს, რომლებიც მათ პროფესიულ და პირად ცხოვრებაში სჭირდებათ. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებისას მასწავლებლები მოსწავლეებს ახალ სიტყვებს სხვადასხვა ვიზულური საშუალებებით წარუდგენენ, როგორებიცაა, პროექტორი, ბარათები, დაფაზე ნახატები და რეალური ნივთები. აღნიშნული ვიზუალური საშუალებები მოსწავლეებს ინფორმაციის დამუშავებაში ეხმარება. კვლევაში განხილული ლექსიკის პრეზენტაციის პროცედურები გამიზნულია ყველა ტიპის შემსწავლელისთვის და ნებისმიერ სტუდენტს აქვს ლექსიკური ერთეულის აღქმის თანაბარი შანსი. ლექსიკაზე ორიენტირებული აქტივობების მიზანია ახალი სიტყვების გადატანა ხანგრძლივვადიან მეხსიერებაში და შესასწავლი სიტყვების ავთენტურ კონტექსტში გამოყენება. სახელმძღვანელოს გარეშე გრამატიკის სწავლებისას ენის კომუნიკაციური სწავლება გამოიყენება და ამ მიდგომის მთავარი ღირებულებაა გაკვეთილის დროს მოსწავლეზე მაქსიმალური ფოკუსირება. ეს მოდელი ასევე სთავაზობს ტექსტზე დაფუძნებულ გრამატიკის გაკვეთილებს და მოსწავლეებს რეალურ ცხოვრებაში გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენების

შესაძლებლობას აძლევს. მასწავლებლები ტექსტებს მოსწავლეების ინტერესის და სასწავლო მიზნების შესაბამისად არჩევენ. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ავთენტური ტექსტების მეშვეობით აღიქვან შესასწავლი ენა და აითვისონ ის მათთვის ნაცნობი კონტექსტის საშუალებით. გრამატიკული მასალის მიწოდება ინდუქციური მეთოდის მეშვეობით აძლიერებს მოსწავლეების დამოუკიდებლობას და შესაძლებლობებს, ისინი წესების აღმოჩენის პროცესის აქტიური მონაწილეები ხდებიან. და ბოლოს, გრამატიკის სწავლების ტრადიციული მეთოდის უარყოფა და მისი სწავლება კომუნიკაციაზე დაფუძნებული მეთოდებით, გრამატიკის გაკვეთილებს უფრო საინტერესოს ხდის და მოსწავლეებში მოტივაციას ამაღლებს.

სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებისას კლასის მენეჯმენტი არ გულისხმობს მხოლოდ მოსწავლეების ქცევის გაკონტროლებას, ის ასევე ითვალისწინებს იმ ფაქტორებს, რომლებიც პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნისთვისაა საჭიროა. ამ მოდელის ერთ-ერთი შესაძლო ნაკლოვანება არის გაკვეთილების დროს ქაოსი და არაორგანიზებულობა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი იყენებს პოზიტიური და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნისთვის საჭირო მრავალფეროვან მეთოდებსა და ტექნიკებს. ამ მოდელის მთავარი კომპონენტია ინტერაქციული სწავლება, რომლისთვისაც აუცილებელია წყვილური და ჯგუფური სამუშაოები. მოსწავლეების მსგავს განაწილებას მივყავართ დამოუკიდებელ სწავლამდე, რადგან მოსწავლეები ურთიერთობენ შესასწავლ ენაზე და ამ ფორმით მათი ენობრივი კომპეტენციები ვითარდება.

კვლევამ აჩვენა, რომ საშუალო დონეზე ინგლისური როგორც უცხოური ენის სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებმა მნიშვნელოვნად განავითარეს სტუდენტების ენობრივი კომპეტენცია. მსგავი პრაქტიკა განსაკუთრებით სასარგებლოა დაკავებული ადამიანებისთვის, რომლებსაც მოკლე ვადაში ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება სურთ. მნიშვნელოვანი უპირატესობა იმისა, რომ მოსწავლეები ხედავენ თავიანთ სწრაფ პროგრესს, არის ინგლისური ენის სწავლისას მათი მოტივაციისა და

თვითდაჯერებულობის გაზრდა, მოსწავლეების დამოუკიდებლობის ჩამოყალიბება და სწავლის სტრატეგიების განვითარება. ერთსემესტრიანმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ექსპერიმენტულ ჯგუფში სახელმძღვანელოს გარეშე ნაწილობრივ სწავლებამ, დამატებითი რესურსების გამოყენებამ, ავთენტური მასალის, ენის კომუნიკაციური სწავლისა და დავალებაზე დაფუძნებული სწავლის აქტივობების შედეგად ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტებმა უფრო მაღალი შედეგები აჩვენეს, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის შემსწავლელებმა, რომლებიც სწავლობდნენ სახელმძღვანელოზე დაფუძნებული მეთოდებით. შედეგებმა დაადასტურა კვლევის ჰიპოტეზა - ინგლისურის როგორც უცხოური ენის გაკვეთილების ჩატარება სახელმძღვანელოს გარეშე დამხმარე და ავთენტური მასალების მეშვეობით ხელს უწყობს ენის ათვისებას, სტუდენტის მოტივაციისა და დამოუკიდებლობის გაზრდას.

ინგლისური ენის მასწავლებლებმა დროდადრო გვერდზე უნდა გადადონ სახელმძღვანელოები და გაკვეთილები მათ გარეშე დაგეგმონ, მსგავსი პრაქტიკისთვის რეკომენდირებულია დამატებითი და ავთენტური მასალების გამოყენება, ენის კომუნიკაციურ სწავლებასა და დავალებაზე დაფუძნებულ მიდგომაზე დაყრდნობა, ერთ გაკვეთილზე ერთი ან ორი ენობრივი უნარის და ერთი ან ორი ლინგვისტური ასპექტის გავარჯიშება, მოსწავლეების ტიპებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინება, მასწავლებლების კომპეტენციის გაზრდა იმისთვის, რომ მათ მსგავსი ტიპის გაკვეთილები ჩაატარონ, სხვადასხვა როლების შესრულება, თანამედროვე საგაკვეთილო მენეჯმენტის სტრატეგიების გამოყენება. სასწავლო მიზნების განვითარებისთვის მასწავლებლებმა გაკვეთილები მაქსიმალურად კომუნიკაციური უნდა გახადონ. ინგლისური ენის მასწავლებლებმა უნდა იცოდენ სწავლების თანამედროვე მეთოდები და ისინი მოსწავლეების სასარგებლოდ უნდა გამოიყენონ. სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილებისას რეკომენდირებულია მასწავლებლებმა მოსწავლეებს დავალებები მისცენ არა სახელმძღვანელოდან, არამედ იმ რესურსებისგან, რომლებიც სახელმძღვანელოს გარეშე გაკვეთილების დროს იქნა გამოყენებული.

დისერტაციის ძირითადი შედეგები წარმოდგენილია შემდეგ პუბლიკაციებში:

Gureshidze, S. (2017). EFL Teachers' Roles and Competence in a No-textbook Classroom. *International Research Conference on Education, Language and Literature. Conference Proceedings, pp.813-818.*

Gureshidze, S. (2015). EFL/ESL textbook –with or without it? *International Research Conference on Education, Language and Literature. Conference Proceedings, pp.179-183.*

Gureshidze, S. (2017). Short-Term Effect of Teaching English as a Foreign Language without a Textbook. *Journal of Education in Black Sea Region. Vol 2, No 2,pp.116-131.*